ანალიტიკური წერა

დამატებითი სესია

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

N ქალაქის მსხვილი სავაჭრო ცენტრის ერთი ნაწილი ეთმობოდა კინოთეატრს, რომელიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რასაც ბილეთების ხშირი ფასდაკლებაც უწყობდა ხელს.

სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციამ შემოსავლის გაზრდის მიზნით გადაწყვიტა, შენობა მთლიანად სავაჭრო ობიექტად ექცია. ამის გამო კინოთეატრი გააუქმეს და მის ნაცვლად კიდევ ერთი სავაჭრო ობიექტი გახსნეს. ამავე სივრცეში მოაწყვეს სპეციალური კუთხე ბავშვებისათვის, სადაც სავაჭრო ცენტრში მისულ მშობლებს გარკვეული საზღაურის ფასად დროებით შეეძლოთ მცირეწლოვანი ბავშვების დატოვება.

ერთი თვის მონაცემების მიხედვით, სავაჭრო ცენტრის შემოსავალმა კი არ მოიმატა, არამედ პირიქით, იკლო. შედეგად, სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ მათ მიერ გატარებული ღონისძიება არაეფექტიანი გამოდგა.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ამგვარი შედეგი. კრიტიკულად შეაფასეთ სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაციის მიერ გამოტანილი დასკვნა.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

ცნობილი ადამიანების შესახებ გადაღებულ მხატვრულ ფილმებსა და სერიალებში დაუშვებელია ისეთი ფაქტებისა და მოვლენების ასახვა, რომლებიც მათ ცხოვრებასა და საქმიანობას რეალისტურად არ წარმოაჩენს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.